სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/26

(ოქმი N18)

ქ. ბათუმი 21 დეკემბერი 2018 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მიერ სხვადასხვა საქონელის/მომსახურების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის და მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის (მიღებული: 14.07.2016წ) მე-20 მუხლის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 10 დეკემბრის N02-19/3077 და 2018 წლის 13 დეკემბრის N02-19/3143 წერილების საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორს, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განახორციელოს შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები:

1) 80 ერთეული მხატვრული ფილმი, 40 საათი ანიმაციური ფილმი, რომლის საერთო სავარაუდო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს - 259932,80 ლარს;

2) საწვავი - 132 000 ლარი;

3) დაცვით მომსახურება - 133 200 ლარი;

4) ციფრული სიგნალის გავრცელება - 226 740 ლარი;

5) აზერკოსმოსთან გასაფორმებელი ხელშეკრულების (ხელშეკრულების ვადა იზრდება 3 წლით) ჯამური ღირებულება 288 000 აშშ დოლარი.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge''.

3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2018 წლის 21 დეკემბრიდან.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი